ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების,
ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის სხდომის
ოქმი N1

25.01.2022

სხდომის ჩატარების ადგილი:

ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი

თვითმმართველობის შენობა

რუსთაველის გამზირი N3

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის სხდომა ჩატარდა დისტანციურ რეჟიმში, ონლაინ პლატფორმის „ზუმის" მეშვეობით, სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე ბატონი ბექა ქებულაძე.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

პაატა ლილუაშვილი, თეა ჯუღელი, მერაბ ჭოხონელიძე, მანანა ჩიხლაძე, მარეხი ნიჟარაძე, ბესიკ ხამაშურიძე, კახაბერ გაბუნია, ხათუნა არველაძე, თედო მესხი.

სულ: 9 წევრი.

არ ესწრებოდნენ: ანა კოხრეიძე, ქეთევან ხურციძე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გია ბასილაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი თეონა მელქაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული განყოფილების პირველი კატეგორიის მთავარი სპეციალისტი გიორგი ლელაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული განყოფილების მეორე კატეგორიის მთავარი სპეციალისტი თამარ ხორგუანი.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ბექა ქებულაძემ და წარმოადგინა დღის წესრიგი:

1.ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

დღის წესრიგთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა, ღია კენჭისყრით, ერთხმად, დაადგინეს:

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მოისმინეს:

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი კომისიის წევრებს წარმოუდგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ბექა ქებულაძემ: „მოგესალმებით ქალბატონებო და ბატონებო, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიას გახსნილად ვაცხადებ, დღეს 2022 წლის 25 იანვარია, ჩვენ ჩავნიშნეთ სხდომა გამომდინარე იქიდან, რომ გვინდა დავამტკიცოთ სამუშაო გეგმა-გრაფიკი, თუ რა აქტივობებს მოიცავს ჩვენი ერთწლიანი მუშაობა, შესაბამისად წარმოდგენილი მაქვს განსახილველი საკითხები, რა მიმართულებით უნდა ვიმუშავოთ, რა იქნება ჩვენი პრიორიტეტი და თვეების მიხედვით წარმოგიდგენთ თითოეულ მუხლს, აქვე ხაზგასმით ავღნიშნავ იმასაც, რომ თუ ჩვენ გვექნება რაიმე დამატებითი საკითხი გასახილველად სწორედ ჩანაწერში არსებული მითითება „მიმდინარე საკითხები“, „კომისიაში შემოსული განცხადებები“ თავის თავში მოიცავს საკითხების დამატების შესაძლებლობას აღნიშნულ ჩამონათვალზე, ასე რომ წარმოგიდგენთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის 2022 წლის გეგმა გრაფიკს:

N	განსახილველი საკითხები	ჩატარების დრო
1	ა. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტში კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა პროგრამების განხილვის შესახებ. ბ. მიმდინარე საკითხები	იანვარი
2	ა. კომისიაში შემოსული განცხადებების განხილვის შესახებ. ბ. მიმდინარე საკითხები	იანვარი

3	ა. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ბაგა-ბაღების გაერთიანებაში არსებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების განხილვის შესახებ. ბ. მიმდინარე საკითხები	თებერვალი
4	ა. კომისიაში შემოსული განცხადებების განხილვის შესახებ. ბ. მიმდინარე საკითხები	თებერვალი
5	ა. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების გაწეული სამუშაოს თაობაზე ანგარიშის მოსმენა. ბ. მიმდინარე საკითხები	მარტი
6	ა. კომისიაში შემოსული განცხადებების განხილვის შესახებ. ბ. მიმდინარე საკითხები	მარტი
7	ა. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ფოლკლორის ცენტრის - სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესრულების თაობაზე, გაწეული სამუშაოს ანგარიშის მოსმენა. ბ. მიმდინარე საკითხები	აპრილი
8	ა. კომისიაში შემოსული განცხადებების განხილვის შესახებ. ბ. მიმდინარე საკითხები	აპრილი
9	ა. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ი. ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესრულების თაობაზე, გაწეული სამუშაოს ანგარიშის მოსმენა. ბ. მიმდინარე საკითხები	მაისი
10	ა. კომისიაში შემოსული განცხადებების განხილვის შესახებ. ბ. მიმდინარე საკითხები	მაისი

11	ა. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ კულტურული, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესრულების თაობაზე, 6 თვის გაწეული სამუშაოს ანგარიშის მოსმენა. ბ. მიმდინარე საკითხები	ივნისი
12	ა. კომისიაში შემოსული განცხადებების განხილვის შესახებ. ბ. მიმდინარე საკითხები	ივნისი
13	ა. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესრულების თაობაზე, გაწეული სამუშაოს ანგარიშის მოსმენა. ბ. მიმდინარე საკითხები	ივლისი
14	ა. კომისიაში შემოსული განცხადებების განხილვის შესახებ. ბ. მიმდინარე საკითხები	ივლისი
15	ა. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესრულების თაობაზე, გაწეული სამუშაოს ანგარიშის მოსმენა. ბ. მიმდინარე საკითხები	აგვისტო
16	ა. კომისიაში შემოსული განცხადებების განხილვის შესახებ. ბ. მიმდინარე საკითხები	აგვისტო
17	ა. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ბაგა ბაღების გაერთიანების 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესრულების თაობაზე, გაწეული სამუშაოს ანგარიშის მოსმენა. ბ. მიმდინარე საკითხები	სექტემბერი
18	ა. კომისიაში შემოსული განცხადებების განხილვის შესახებ.	სექტემბერი

	ბ. მიმდინარე საკითხები	
19	ა. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის განყოფილებების, 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესრულების, გაწეული სამუშაოს ანგარიშის მოსმენა. ბ. მიმდინარე საკითხები	ოქტომბერი
20	ა. კომისიაში შემოსული განცხადებების განხილვის შესახებ. ბ. მიმდინარე საკითხები	ოქტომბერი
21	ა. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის ინფორმაცია 2022 წელს გაწეული სამუშაოს თაობაზე ანგარიშის მოსმენა. ბ. მიმდინარე საკითხები	ნოემბერი
22	ა. კომისიაში შემოსული განცხადებების განხილვის შესახებ. ბ. მიმდინარე საკითხები	ნოემბერი
23	ა. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის პროგრამების განხილვის შესახებ. ბ. მიმდინარე საკითხები	დეკემბერი
24	ა. კომისიაში შემოსული განცხადებების განხილვის შესახებ. ბ. მიმდინარე საკითხები	დეკემბერი

აზრი გამოთქვეს:

ხათუნა არველაძე: „მოგესალმებით და პირველ რიგში მადლობას მოგახსენებთ საკითხის დეტალურად განხილვისათვის, ვისაუბრებ რამდენიმე საკითხზე, პირველი-

ქვეყანაში არსებული პანდემიური სიტუაციიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისათვის მეტი კულტურული, სპორტული თუ სახელოვნებო აქტივობები ჩატარდეს, ეს მეტად შეუწყობს ხელს მათ განვითარებას, მეორე-მინდა ხაზი გავუსვა ბალახვანში არსებული სპორტული სკოლის რეაბილიტაციის შეჩერების საკითხს, მაინტერესებს როდის იგეგმება და იგეგმება თუარა მისი რეაბილიტაცია ან ალტერნატიული ადგილის მოძიება? და მესამე საკითხი-იქნებ გამოიყოს მეტი ბიუჯეტი ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისათვის, კერძოდ, ქუჩის კალათბურთის სკოლებისათვის."

ბექა ქებულაძე: „მადლობას მოგახსენებთ გაჟღერებული ინიციატივებისათვის, აუცილებლად გასათვალისწინებელია ახალგაზრდების ჩართულობა მუშა პროცესში და გათვალისიწინებულიც იქნება ყველა ის სასარგებლო ინიციატივა და წინადადება, რაც მათთვის სარგებლის მომტანია."

ირაკლი შენგელია: „მადლობას მოგახსენებთ საკითხის ამომწურავად წარმოდგენისათვის და ქალბატონი ხათუნას მიერ დასმულ შეკითხვას გავცემ პასუხს ბალახვანში არსებული სპორტული სკოლის შესახებ, ამ ეტაპზე არსებობს ექსპერტის დასკვნა, რომ იმ დარბაზში ვარჯიში დაუშვებელია და აქედან გამომდინარე მიმდინარეობს ალტერნატიული დარბაზის მოძიება, რაც შეეხება ინიციატივებს მივესალმები და მხარდაჭერას გამოვხატავ."

საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ბექა ქებულაძემ საკითხი ყოველგვარი შენიშვნების გარეშე დააყენა კენჭისყრაზე.

კომისიამ ღია კენჭისყრით, ერთხმად დ ა ა დ გ ი ნ ა:

მოწონებულ და დადებითად შეფასებულ იქნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმა-გრაფიკი.

ამით ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და
სპორტის კომისიის თავმჯდომარე
ბექა ქებულაძე